საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია
25 აგვისტო 2026
იგოეთი ჰიდროელექტროსადგური

იგოეთი ჰიდროელექტროსადგური: 35 კვ ღია გამანაწილებელი მოწყობილობა

ინსპექტირების მიმოხილვა :

მოგესალმებით მოგახსენებთ რომ ჩვენს მიერ იგოეთი ჰესის ღია გამანაწილებელი მოწყობილობის ისნპექტირების შედეგად გმოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

ოკამი 35 კვ ზეთანი ამომრთველი , T3 შემყვანი ზეთიანი ამომრთველი , იგოეთი 2 ზეთიანი ამომრთველი , ოძისი (ახალგორი) ზეთიანი ამომრთველი, ხურვალეთი 35 კვ ზეთიანი ამომრთველი:

ტექნიკური დასკვნა და სარეკომენდაციო ნაწილი

არსებული მოწყობილობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება: ზეთიანი ამომრთველის ვიზუალური და ინსტრუმენტული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი კრიტიკული დეფექტები:

- **ჰერმეტულობის სრული დარღვევა და საიზოლაციო ზეთის ჟონვა** ფაზურ პოლუსებზე, რაც ზრდის დანაკარგების, ელექტრული რღვევისა/გადაფარვის და ხანძარსაშიშროების რისკს.
- **მართვის მექანიზმის ფიზიკური ცვეთა** (მათ შორის ძალოვანი ზამბარების, კინემატიკური ბერკეტებისა და საკონტაქტო სისტემების რესურსის ამოწურვა), რაც აქვეითებს ამომრთველის საიმედოობას და ქმნის ამომრთველის მექანიზმების გაუმართაობის საფრთხეს;
- საკონტროლო-სამაგრ წერტილებზე და ელექტრულ გამყვანებზე კოროზიული პროცესები და დეგრადაცია.

რეკომენდაცია / დასკვნითი გადაწყვეტილება: არსებული მექანიკური ცვეთის, მოძველებული კონსტრუქციის და კრიტიკული საექსპლუატაციო შეუსაბამობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია: საიმედოობის და უსაფრთხოების მიზნით, არსებული ზეთიანი ამომრთველების სრული ჩანაცვლება თანამედროვე, უსაფრთხო ახალი ვაკუუმური ამომრთველებით.

ოკამი 35 კვ სახაზო და სასალტეო გამთიშველები , T3 შემყვანის სასალტეო და ძაბვის ტრანსფორმატორების გამთიშველები, იგოეთი 2 სასალტეო, სახაზო და ძაბვის ტრანსფორმატორების გამთიშველები, ოძისი (ახალგორი) ზეთიანი შემყვანი და სასალტეო გამთიშველები, ხურვალეთი 35 კვ სასალტეო და სახაზო გამთიშველები(ჯამში 11 ცალი გამთიშველი) :

- **მექანიკური ცვეთა და დეფორმაცია:** სამოძრაო კვანძებსა და საკონტაქტო სისტემებს აღენიშნებათ მნიშვნელოვანი მექანიკური დაზიანებები.

- **კონტაქტების კოროზია:** გამთიშველების დანები და საკონტაქტო ზედაპირები მძიმედ არის დაზიანებული კოროზიის შედეგად, რაც არღვევს ელექტრული კონტაქტის სიმტკიცეს და გამორიცხავს მათ სათანადო და საიმედო ექსპლუატაციას.

- **ოპერირების გართულება:** არსებული მექანიკური დეფექტებისა და დეფორმაციების გამო, აპარატების ჩართვა-გამორთვის (გაღება-დაკეტვის) პროცესი ტექნიკურად რთულია, რის გამოც მორიგე პერსონალს ოპერაციების შესრულება უწევს გარე დამხმარე საშუალებების (მექანიკური ბერკეტები, საიზოლაციო ჭოკები და ა.შ.) გამოყენებით, რაც ზრდის ავარიული სიტუაციებისა და პერსონალის ტრავმირების რისკს.

დასკვნა და გადაწყვეტილება: არსებული მექანიკური ცვეთისა და მოძველებული კონსტრუქციის გათვალისწინებით, ამ გამთიშველების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და ადგილზე აღდგენა აუცილებელია უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით .

იხილეთ ფოტომასალა :

ოკამი 35 კვ ზეთანი ამომრთველი და ამომრთველის მექანიზმი.

ოკამი 35 კვ სახაზო და სასალტეო გამთიშველები



T3 შემყვანი ზეთიანი ამომრთველი

T3 შემყვანის სასალტეო და ძაბვის ტრანსფორმატორების გამთიშველები





იგოეთი 2 ზეთიანი ამომრთველი

იგოეთი 2 სასალტეო, სახაზო და ძაბვის ტრანსფორმატორების გამთიშველები



ოძისი (ახალგორი) ზეთიანი ამომრთველი

ოძისი (ახალგორი) ზეთიანი შემყვანი და სასალტეო გამთიშველები

ხურვალეთი 35 კვ ზეთიანი ამომრთველი

ხურვალეთი 35 კვ სასალტეო და სახაზო გამთიშველები